ს ს ი პ ბ ა თ უ მ ი ს შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს
ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

27 ოქტომბერი, 2026 წ.

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო ს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/40

მერაბ დიასამიძის

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18, 21-ე და 23-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-8, მე-10 და მე-40 მუხლების, ,,ბსუ-ს საარჩევნო დებულების დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 იანვრის №06-01/10 დადგენილების, „მერაბ დიასამიძის ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 07 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილების, **„ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ“** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 06 ოქტომბრის №06-01/177 დადგენილების, ბსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 7 26 0001512627, 23.10.2026), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ოქტომბრის სხდომის ოქმის, ბსუ-ს საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის №1 (23.10.2026), **„ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურად მერაბ დიასამიძის შერჩევის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ოქტომბრის №06-01/189** დადგენილების, ბსუ-ს საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის №1 (27.10.2026 წ.) წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმის (№07-02/07, 27.10.2026 წ.) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. **დამტკიცდეს** საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის **23 ოქტომბრის** №06-01/189 დადგენილებით შერჩეული **მერაბ დიასამიძის** კანდიდატურა (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (20 წევრის შემადგენლობით), 2026 წლის **27 ოქტომბრის** სხდომაზე/ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნებში მონაწილე წარმომადგენლობითი საბჭოს 16 წევრის **16 ხმით**).
2. მერაბ დიასამიძემ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მეორე ვადით, 4-წლიანი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს **2026 წლის 09 ნოემბრიდან.**
3. წინამდებარე გადაწყვეტილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ბსუ-ს საქმისწარმოების

სამსახურს (კანცელარიას), ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს, ბსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს.

5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30).

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი ჯემალ კარალიძე